

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1125 საათი.

აქედან:

სასწავლო კომპონენტისათვის 452 საათი; დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 135 საათი; ტესტირებისა და გამოცდისათვის – 40 საათი; პრაქტიკის კომპონენტისათვის – 498 საათი.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაშვების მინიმალური პირობაა ზოგადი სრული განათლება ან ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის II საფეხურის კვალიფიკაცია.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი, რომელსაც უნდა შეეძლოს მარტივი საანგარიშო ოპერაციების შესრულება კერძოდ: ელექტრომომმარაგების ქსელში გაზომვების ჩატარება და შედეგების ანალიზი, ელექტროენერგიის აღრიცხვა და ამ პროცესისათვის გამოყენებული მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია;

VII. სწავლის შედეგი:

<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის და აცნობიერებს ელექტრომომმარაგების და ელექტროენერგიის აღრიცხვის დიდ მნიშვნელობას. ერკვევა ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ძირითად მახასიათებლებში, მოქმედების პრინციპებში და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების მუშაობისა და ექსპლუატაციის წესებში.</p>
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით შესასრულოს სხვადასხვა სამუშაოები.</p>	<p>შეუძლია ელექტრომომმარაგების ქსელში გაზომვების ჩატარება და შედეგების ანალიზი, ელექტროენერგიის აღრიცხვა და ამ პროცესისათვის გამოყენებული მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია; შეუძლია ყველა სამუშაო შესასრულოს ტექნიკური ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით, ამისათვის წინასწარ შეარჩიოს სათანადო მიდგომა, შესაბამისი ხელსაწყოები და მასალები.</p>
<p>3. დასკვნის</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ</p>	<p>შეუძლია ხელმძღვანელის,</p>

გაკეთების უნარი	სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა.	დამსაქმებლის და სხვათა მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების გადაჭრა. ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში ელექტროუსაფრთხოების ზომების მიღება.
4.კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე.	შეუძლია მასალების და მოწყობილობების შერჩევა სტანდარტების შესაბამისად, უცხოური ლიტერატურის გამოყენება, აქვს სხვადასხვა ფირმების მიერ მიწოდებული ელექტროხელსაწყოების და მასალების სწორი არჩევის უნარი.
5.სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია წინასწარ დასმული ამოცანის სწორი გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მასალებისა და მოწყობილობების სწორად შერჩევა. პრაქტიკის და პრაქტიკული მეცადინეობების დროს აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.
6.ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	უნდა შეეძლოს ელექტრომომარაგების ქსელში აღმოაჩინოს და აღმოფხვრას დაშვებული უზუსტობანი, რათა ის არ გაზდეს ავარიის მიზეზი.

VIII. სწავლების შედეგების რუკა:

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ელექტროამრავი სა და ელექტრომომარაგებელის სამუშაოები	X	X	X	X	X	X
ხაზვა	X	X				X
კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	X	X		

უცხო ენა	X		X	X		
პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

IX. სასწავლო გეგმა:

ს ა გ ა ნ ი	პრედიქციის რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
ელექტროამრავის და ელექტრომომარაგებელის სამუშაოები	15	290	32			8	45	375
ხაზვა	2	36				8	6	50
კომპიუტერული ტექნოლოგიები	3	58				8	9	75
უცხო ენა	2	36				8	6	50
პრაქტიკა	23			199	299	8	69	575
სულ	45	420	32	199	299	40	135	1125

X. პროფესიული სტუდენტების სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

1. ლექციებზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
2. ლაბორატორიულ სამუშაოებს;
3. პრაქტიკულ მეცადინეობებს;
4. დამოუკიდებელ მეცადინეობას;
5. სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;
6. გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

(A)- ფრიადი-მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

- (B)-ძალიან კარგი- მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C)-კარგი- მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D)-დამაკმაყოფილებელი- მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E)-საკმარისი-მაქსიმალური შეფასების 51-60%.

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(Fx)-ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F)-ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, გავიდეს დამატებით გამოცდაზე (დასკვნით გამოცდაზე) არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება (კოლოქვიუმი, მიმდინარე შეფასება)
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო, საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:

1. სასწავლო თეორიული კომპონენტის პედაგოგი შეიძლება იყოს აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. პროფესიული განათლების პრაქტიკის კომპონენტის მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ელექტროამბრავის და ელექტრომომმარაგებელის/პრაქტიკა	მაია ტულუში	დოქტორი
	მერაბ სადრაძე	ინჟინერ-ელექტრიკოსი
ხაზვა	ინაშარიძე ქეთევანი	დოქტორი
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ჩავლეშვილი გოჩა	დოქტორი
უცხო ენა	ბაბაიანი დიმიტრი	ინგლისური ენის სპეციალისტი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები). (საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა; მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის ქ. № 12)

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება სწავლების პროცესში შემდეგ ორგანიზაციებში:

1. ქ.ბათუმი. შპს "გუმბათი-1", მემორანდუმი სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
2. შპს "აჭარგანათება", მემორანდუმი სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
3. ქ. ბათუმი. შპს "მონოლითი-2005", მემორანდუმი სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

III საფეხურის ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა IV საფეხურის ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის პროგრამით.